



**საქართველოს საავტომობილო
სპორტის ფედერაცია**

/დამტკიცებულია სსსფ-ს
პირველი ვიცე პრეზიდენტის მიერ/
დ. მჭედლიშვილი

05.07.2017



შ ე ჯ ი ბ რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კავკასიის თასი 2017
აღმართის დაძლევაში
Caucasus Hill Climb Cup 2017
/2 ეტაპი/
სოფ. აგარაკი- სოფ. ბიურაკანი
(ღია ტურნირი)

09.07.2017

ერევანი 2017

1. შეჯიბრების პროგრამა

08.07.2017

1.1. მონაწილეების რეგისტრაცია სამანდატო კომისია 16:00 სთ. – 20:00 სთ.

(სოფ. ბიურაკანი, ობსერვატორიის ტერიტორია)

1.2. წინასწარი სავალდებულო ტექ. დათვალიერება 16:00 სთ. – 20:00 სთ.

(სოფ. ბიურაკანი, ობსერვატორიის ტერიტორია)

09.07.2017

- ტექ. დათვალიერება (ქსოფ. ბიურაკანი, ობსერვატორიის ტერიტორია) 09:00 სთ. - 10:00 სთ.
- ვარჯიში 1 - სტარტი (სოფ. აგარაკი) 10:30 სთ.
- ვარჯიში 2 - სტარტი (სოფ. აგარაკი) 12:00 სთ.
- რბოლა 1 (SS-1) – სტარტი (სოფ. აგარაკი) 15:00 სთ.
- რბოლა 2 (SS-2) – სტარტი (სოფ. აგარაკი) 16:30 სთ.
- წინასწარი შედეგები (სოფ. ბიურაკანი, გამგეობის ტერიტორია) 17:30 სთ.
- პროტესტები (სოფ. ბიურაკანი, გამგეობის ტერიტორია) 17:30 სთ. - 18:00 სთ.
- დაჯილდოება (სოფ. ბიურაკანი, გამგეობის ტერიტორია) 18:00 სთ.

2. შეჯიბრის ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

2.1. შეჯიბრის ორგანიზატორი:

სომხეთის საავტომობილო ფედერაცია

- მისამართი: სომხეთი, ქ. ერევანი, მარგარიანის 29/3
- ტელ: +374 99 45 45 52
- ელ. მისამართი: president@faa.am
- ვებ. გვერდი: www.faa.am
- პრეზიდენტი: გაგიკ ალაჯანიანი
-

შეჯიბრის კოორდინატორი: გურგენ სეფილიანი
მობ.: +374 99 45 45 52

2.2. ოფიციალური პირები:

შეჯიბრების ხელმძღვანელი:	გურგენ სეფილიანი	+374 55 26 15 35
შეჯიბრების კომისარი:	შალვა ზამთარაძე	599 50 52 18
უსაფრთხოების კომისარი:	სტეპან მარტიროსიანი	+374 91 81 11 87
ტრასის კომისარი:	მიშა სირადელიანი	+374 94 03 33 24
მთავარი ტექ. კომისარი:	დავით გეგორქიანი	+374 99 13 68 13
მთავარი ქრონომეტრაუსტი:	ნიკოლოზ მიქელაძე	591 11 10 15
ქრონომეტრაუსტი:	გურამ ნუცუბიძე	598 43 28 88
მონაწილეთა რეგისტრატორი:	მარეტიკ მკრტიჩიანი	+374 94 03 33 24
შეჯიბრების მდივანი:	მარეტიკ მკრტიჩიანი	+374 94 03 33 24

3. შეჯიბრის ტრასა

- ტრასის სიგრძე 49.00 კმ.
- შეჯიბრის ხანგრძლივობა 6:00 სთ.

4. შეჯიბრის პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის და სომხეთის საავტომობილო ფედერაციის მიერ შემუშავებული 2017 წლის კავკასიის თასის რეგლამენტის და ტექნიკური მოთხოვნების თანახმად შემდეგ კატეგორიებში და ჯგუფებში:

კატეგორია 1	კატეგორია 2
<i>ჯგუფი</i>	<i>ჯგუფი</i>
N	E2-SS
A	CN
S20	E2-SC
GT	E2-SH

ჯგუფების კლასიფიკაცია ძრავის მოცულობების მიხედვით

ჯგუფის კლასიფიკაცია	კატეგორია 1	კატეგორია 2
1600	1600 სმ ³ -მდე	1600 სმ ³ -მდე
2000	1600 სმ ³ -დან 2000 სმ ³ -მდე	1600 სმ ³ -დან 2000 სმ ³ -მდე
3000	2000 სმ ³ -დან 3000 სმ ³ -მდე	2000 სმ ³ -დან 3000 სმ ³ -მდე
3000+	3000 სმ ³ და მეტი	3000 სმ ³ და მეტი (მხოლოდ ჯგუფი E2-SH-თვის)

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრის დებულების შესაბამისად (ქვეპუნქტი 4.1.) რეგისტრირებულ ნებისმიერ ჯგუფში.

4.3. მრბოლელს აქვს უფლება განაცხადი გააკეთოს მხოლოდ ერთ კლასში. მრბოლელის ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს იმ ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელშიც არის გაკეთებული განაცხადი ან ჯგუფი უნდა იყოს კლასით მაღალი. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს მისი ავტომობილის შესაბამისი კლასის ზედა კლასში. ზედა კლასად ითვლება:

- თუ ავტომობილი ეკუთვნის ჯგუფ N-ს, ზედა კლასად ითვლება ამავე ჯგუფის შემდგომი კლასი;
- A ჯგუფის ის კლასი, რომლის ტექნიკური მოთხოვნები აღემატება ავტომობილის ტექნიკურ მონაცემებს (დიდი კუბატურა);
- მომდევნო კატეგორიის ის ჯგუფი და ის კლასი, რომელშიც მონაწილეობენ ანალოგიური ტიპის ავტომობილები და განმცხადებლის ავტომობილის ძრავის მოცულობა არ არის კონკრეტული კლასის კლასიფიკაციაზე მეტი.

4.4. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს მრბოლელს გაცხადებული ჯგუფი, თუ მისი სპორტული ავტომობილი არ აკმაყოფილებს გაცხადებული ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს. ასევე ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მიანიჭოს საასპარეზო ჯგუფი იმ მრბოლელს, რომელსაც არ აქვს ან არასწორად აქვს შერჩეული საასპარეზო ჯგუფი (მათ შორის რბოლის დასრულების შემდეგ, შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე).

4.5. მრბოლელები, ჩათვლას იღებენ მის მიერ გაცხადებულ ჯგუფში, ჯგუფის აბსოლუტურ ჩათვლაში, კუბატურის აბსოლუტურ ჩათვლაში, კატეგორიის აბსოლუტურ ჩათვლაში და აბსოლუტურ ჩათვლაში.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ გაცხადებული ჯგუფი არ შედგა (ჯგუფი არ შემდგარად ითვლება თუ ვერ სრულდება 4.8. ქვეპუნქტი), მრბოლელს მრბოლელი ავტომატურად იღებს ჩათვლას ჯგუფის აბსოლუტურ ჩათვლაში, კუბატურის აბსოლუტურ ჩათვლაში, კატეგორიის აბსოლუტურ ჩათვლაში და აბსოლუტურ ჩათვლაში.

4.7. მონაწილე ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერაციის მიერ გამოცემულ ყველა დამატებით რეგულაციას და დადგენილებას.

4.8. ჯგუფი შემდგარად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ჯგუფში ტექნიკურ კომისიას გაივლის, შეჯიბრზე მონაწილეობის უფლება მიეცემა და სტარტზე იდგება მინიმუმ 3 (სამი) მრბოლელი (სპორტული ავტომობილი).

4.9. ერთი სპორტული ბოლიდით ასპარეზობის უფლება აქვს მხოლოდ ერთ მრბოლელს.

4.10. თუ მრბოლელი რეგისტრირდება შტურმანთან ერთად, რბოლის ბოლომდე, ყველა გავლა (მათ შორის ვარჯიში) უნდა შეასრულოს მასთან ერთად. რბოლის დროს დისტანციის უშტურმანოდ გავლის შემთხვევაში მრბოლელს დაუფიქსირდება კონკრეტული გავლის ნულოვანი დრო.

4.11. სტარტზე განლაგებულ ყველა სპორტულ ბოლიდს წინა საქარე მინაზე უნდა ჰქონდეს განთავსებული ტექნიკური კომისიის გავლის დამადასტურებელი აღნიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრბოლელი მოიხსნება შეჯიბრიდან.

5. შეჯიბრის წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით შუქნიშნის მწვანე შუქის მოქმედების (მწვანე შუქის ანთებიდან 20 წამის განმავლობაში) პერიოდში ავტომობილი უნდა დაიძრას და

დატოვოს ტერიტორია “ზონის დასასრული”, დრო ფიქსირდება სხივის გადაკვეთით. თუ ავტომობილი ვერ დაიდრა მწვანე შუქნიშნის მოქმედების პერიოდში, უნდა დატოვოს სასტარტო ზონა თავისი სვლით ან გარეშე პირთა დახმარებით. თუ ავტომობილი დაიდრა შუქნიშნის მწვანე შუქის ანთებამდე ან მისი ჩაქრობის შემდეგ, მისი გავლის დრო იქნება ანულირებული.

5.2. მანქანები სტარტს იღებენ 1 წუთის ინტერვალით.

5.3. ფინიში: ზოლის გადაკვეთით (ფოტო ფინიში). ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელები გადიან სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას და ავტომობილებს განალაგებენ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

5.4. რბოლა: მონაწილეს აქვს დისტანციის გავლის უფლება 5-ჯერ, მათ შორის პირველი და მეორე გავლა არის ვარჯიში.

5.5. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.6. შედეგიან დროდ ითვლება ბოლო 3 (სარბოლო გავლა) გავლიდან ერთი საუკეთესო დრო.

5.7. შეჯიბრი შედგება 3 სტარტისგან და 3 ფინიშისგან.

5.8. შეჯიბრში ჩათვლის მისაღებად მრბოლელი ვალდებულია შეასრულოს პროგრამა მინიმუმ: სტარტის 50% და ფინიშის 30 % (მინიმუმ ერთი სრული სარბოლო გავლა).

5.9. სარბოლო გავლებს შორის შესაძლებელია იყოს რეგრუპინგი.

6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, თანახმად ჩემპიონატის რეგლამენტისა. მრბოლელის სპორტული ავტომობილი უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზატორის მიერ დადგენილ ტექნიკურ რეგულაციას. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- მრბოლელების ლიცენზია;
- ავტომობილის ომოლოგაციის ბარათი ან ფედერაციის მიერ მიღებული კონკრეტული მოდელის ტექნიკური გადაწვეტილება;
- ავტომობილის ტექნიკური პასპორტი;
- სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი.
- შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი;

6.2. შეჯიბრებაში მონაწილეობა უფასოა.

6.3. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სსფ-ს წევრი ნებისმიერი ქვეყნის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული საერთაშორისო ლიცენზიის მქონე პირებს. შეჯიბრებაში საქართველოს და სომხეთის მოქალაქეები მონაწილეობენ ეროვნული ლიცენზიებით, რომელიც მოიცავს აღმართის დაძლევის რბოლებში მონაწილეობის კვალიფიკაციას.

6.4. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში (მარტო დახურულ პარკში ყოფნის პერიოდის გარდა) ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.5. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6.6. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედებისა და ჩაფხუტის არ ქონის ან არასათანადო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

7. მონაწილე ავტომობილები

7.1. შეჯიბრზე დაშვებულია ავტომობილები თანახმად ჩემპიონატის ტექნიკური რეგულაციისა.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა და იმ ადგილებისა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზატორისთვის.

8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება მხოლოდ მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მქონე პირისგან წერილობით ფორმით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე შეჯიბრების მსვლელობისას ან წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის სფასური – 300 ლარი.

9. უენიშვნები და ბანმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრი ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

10. შედეგების ბანსაზღვრა

10.1. რბოლის საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული მონაწილის მიერ ნაჩვენები შედეგებიდან ერთი საუკეთესო დროის მიხედვით.

10.2. თითოეულ ჯგუფში ქულების დარიცხვა ხდება თანახმად ჩემპიონატის რეგლამენტისა.

11. დაჯილდოება.

I ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;

II ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;

III ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;